ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4322784

ნომერი: AR1651362

თარიღი : 25.12.2018

გაცემის თარიღი : 27.12.2018

გაცნობის თარიღი : 17.02.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი V მ/რ ; ქალაქი თბილისი , გლდანი , V მ/რ , კორპუსი N11-ის მიმდებარე ტერიტორია; ქალაქი თბილისი , გლდანი V მ/რ , კორპუსი N11-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი V;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლერი გვენეტაძე პ/ნ 21001031145
- გაზაფხულის ქუჩა 12, ბ19

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 24 დეკემბრის ბრძანება: ბ01.011835810 -ის საფუძველზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 მაისის №2604849 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 25 დეკემბრის AR1651362 განცხადებით მომართა ლერი გვენეტაძემ, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2016 წლის 19 მაისის №2604849 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების

შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 მაისის №2604849 ბრძანებით, ქალაქი თბილისი , გლდანი , V მ/რ , კორპუსი N11-ის მიმდებარე ტერიტორია;, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.12.005.158, ფართობი: 1180 მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობა (საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული) განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნულის შემდგომ 2017 წლის 23 იანვრის ბრძანება №3058351-ით შევიდა ცვლილება 2016 წლის 19 მაისის №2604849 - ით დადგენილ მიწის ნავკეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაემატა #01.11.12.005.225 და #01.11.09.004.017 საკადასტრო ერთეულები პროექტის სტადიაზე ყველა საკადასტრო ერთეულის გაერთიანების პირობით.

დღევანდელი მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 მაისის №2604849 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ განახლებული საკადასტრო ერთეულის (ს/კ 01.11.09.004.028 2750კვ.მ) დაფიქსირებას რომელიც , აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20-105 დადგენილებითდამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 მაისის №2604849 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო კოდი: N 01.11.09.004.028 ფართობი:2750 კვ.მ, (რეგისტრაციის ნომერი: N 902018092126, თარიღი: 17/12/2018) და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის ნომერი: 892018337749, მომზადების თარიღი: 24/04/2018.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 მაისის №2604849 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 2017 წლის 23 იანვრის ბრძანება №3058351 ცვლილებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება შეიზლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;

- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.